# აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №9
## 2018 წლის 12 მარტი

## აბაშა

**„აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

„აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 იანვრის №3 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.110.01.6336) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“;

ბ) დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 1. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები დამტკიცდეს დანართის შესაბამისად“;**

გ) დანართის სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

**აბაშის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **მამუკა კვიტაშვილი**